ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 170 (20916) — ოთხშაბათი, 25 ივლისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

„სკაუტი“ თბილისელთა სტუმარია

— მეგობარობა გადაარჩენს მსოფლიოს — დარწმუნებული არიან ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა ცნობილი ორგანიზაციის „სკაუტის“ წევრები და მათი თბილისელი თანატოლები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ და დამეგობრდნენ საქართველოში.

ჯორჯის შტატიდან ამერიკელი ბავშვები ჩამოვიდნენ საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული თანამშრომლობის კომიტეტისა და ბავშვთა დეპოლიტიზირებული საკაორდინაციო ცენტრის მოწვევით. საქართველოს დედაქალაქში ისინი ეწვევნენ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეს, დათვალიერეს ძველი თბილისის კუთხეები, ავიდნენ მთაწმინდაზე, ეწვევნენ მცხეთას, გაეცნენ ისტორიულ ძეგლებს — სვეტიცხოველს, ჯვრის მონასტერს. მარტყოფის ეკლესიას.

დიდხანს დაამახსოვრდებათ სტუმრებს წუნეთის ბავშვთა გამოჯანსაღებელ ბანაკ „მზიურში“ ყოფნა. აქ მათ ნახეს კინოფესტივალ „თბილისური ალბის“ ფილმები, მონაწილეობდნენ მათ განხილვაში, შემდეგ კი შეეჯიბრნენ დამსვენებლებს სპორტულ მოედნებზე. მასპინძლებმა სტუმრებს უხასოვრეს ორიგინალური ქართული სუვენირები.

„სკაუტის“ მიწვევა მიღებულია. ქართველი მოხუცლეები მომდინარე წლის შემოდგომით საპასუხო ვიზიტად ეწვევიან ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ფოტოზე ხედავთ ამერიკელ ბავშვებს წუნეთის ბავშვთა გამოჯანსაღებელ ბანაკ „მზიურში“.

ედუარდ რასოლეთის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციის, ახალი, ჰუმანური, სამართლებრივი საზოგადოების შენების პროცესი, როგორც ცნობილია, წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ძველი, დრმოუმქმული, თავისით არასოდეს თმობდა ასპარეზს. არა მხოლოდ სურვილი, არამედ უპირველესად პროგრესულ ძალებს, ხალხს უმრავლესობის ნებას, კონკრეტულ სამართლებრივ აქტებს, კონსტიტუციურ მექანიზმს შეუძლია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის, ბიუროკრატიული მექანიზმების სრული დემონტაჟი, დოგმატური აზროვნების ჯერაც ფართოდ შემორჩენილი რეციდივების აღმოფხვრა საშუალებას იძლევა ფეხი ავუბათ ცივილიზებულ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, ვიცხოვროთ ადამიანურად.

იმისათვის რომ მტკიცე ნაბიჯით, გულდაჯერებით, იმედიანად ვიაროთ თვისებრივად განახლებული საზოგადოებისაკენ, ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმავალ რთულ გზაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონიერების, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას, წესრიგს, მშვიდ ვითარებას. რა დასამალია, რომ მოსახლეობის პრაქტიკულად ყველა ფენა ამ მხრივ სერიოზულ და ძირითადად სამართლიან საყვედურს გამოთქვამს ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების მისამართით. არცისაა დასამალი, **რომ კანონიერების ელემენტარული ნორმების უგულებელყოფა, დაუსჯელობის, განუკითხაობის ხაკმაოდ გავრცელებული ატმოსფერო ზნირად ისეთ ჭაობურ და ანარქიასთან მიახლოებულ სიტუაციებს ქმნის, რომ საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ფიზიკურ და სოციალურ დაცულობას, მათი ელემენტარული უფლებების რეალიზაციას.** ამის მოთმენა აღარ შეიძლება, რადგან მოვადექით ზღვარს, რომლის გადაბიჯებაც დამღუპველია.

სწორედ ამიტომ 23 ივლისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელიც რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და კანონიერების განმტკიცების გადაუდებელ ღონისძიებებს მიეძღვნა, ჩვეულებრივი, ტრადიციული სხდომა კი არ იყო, არამედ საგანგებო ვითარებაში მოწვეული შეკრება, როცა ერთმანეთს აფსებდა მთელი საქართველოს, მისი ყოველი მოქალაქის ზვალინდელი დღისთვის გულისტკივილი და სამართალდაცვის სფეროში ძდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების სურვილი, ასეთი ნაბიჯების გადადგმის კატეგორიული მოთხოვნა.

სხდომა გახსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, აკაკი ცინცაძემ. ანგარიში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა, საგებმო კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვარძელაშვილი, საქგროპრეწვის თავმჯდომარე გ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გურგენიძე.

ინფორმაციით თავიანთ სფეროებში შექმნილი ვითარებისა და მისი რადიკალური გამოსწორების გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე გამოვიდნენ: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამმართველოს სამმართველოს უფროსი გ. შალამბერიძე, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი რ. თუშურაშვილი, თბილისის პროკურორი თ. ტუღუში, რესპუბლიკის ავტოინსპექციის უფროსი გ. ცინცაძე.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნეგატიურ მოვლენათა განვითარების შედეგად რესპუბლიკაში მართლწესრიგის და კანონიერების დაცვისათვის, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის, აქედან გამომდინარე საზოგადოების, ერის ზნეობრიობის დაცვის სფეროში კრიზისული სიტუაცია, საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ მიეუახლოვდით იმ ზღვარს, რომლის შემდგომ საზოგადოებრივი ორგანიზმის დეგრადირების პროცესი უკვე უმართავი ხდება. ხალხს ეს ყველაფერი სოჯაოდ, დაუფარავად, პირდაპირ უნდა ვუთხრათ. ეს საკითხი სცილდება ე. წ. წმინდა „სამართალდაცვითს“ სფეროს და პოლიტიკური პრობლემის დონემდე ადის, კერძოდ, უკავშირდება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის განვითარებას, საკმაოდ აქტიურად და უაღრესად უარყოფითად ზემოქმედებს მასზე.

შეიქმნა, პარადოქსული სიტუაცია: საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარების პარალელურად, რომელსაც ყველაზე მაღალი მორალური სულისკვეთება უნდა ახასიათებდეს, საშიშ მასშტაბს იღებს მისი ანტაგონი — საზოგადოების დემორალიზაცია, რაც სისხლის სამართლის დანაშაულობათა არნახული ზრდით გამოიხატა. ეს არ შეიძლება დიდ შეშფოთებასა და გულისტკივილს არ იწვევდეს.

პრობლემის ბართულების მიზეზები და ფაქტორები, მათი ურთიერთობის მექანიზმი ცნობილია; პოლიტიკური აქცენტების, პრიორიტეტების, ღირებულებების გადანაცვლებისა და გადაფასების, ზნირად კი დამოუკიდებლობის გზით კანონიერებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების წარმოშობა; სამართალდამცავი ორგანოების მიერ უჩვეულო ფუნქციების შესრულების გამო მათი უშუალო მოვალეობის პრაქტიკულ განხორციელებაში ხელის შეშლა; ამას ემატება მთელი რიგი სუბიექტური ფაქტორები, რაც კადრების საქმიანობასთან, მათს პროფესიონალიზმთან, პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული თვით სამართალდამცველ ორგანოებში. ფეხი მოიკიდა დაუსჯელობის არცთუ ილუზორულმა რწმენამ.

მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ სიტუაციაში დამნაშავე ელემენტები, ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყარო შეეცდებოდა ლეგალიზაციას, შეიძლება ითქვას, გაკეთილშობილებას პოლიტიკური მოძრაობებისადმი მიტმასნების გზით, და ასეც მოხდა — ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად განვითარდა. **გახშირდა შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივი ხალხლის სამართლის დანაშაულობანი პოლიტიკურ, ეროვნულ აქციებად ინათლება, ჭურდები, ხულიგნები, რეციდივისტები, ნარკომანები — ერისთვის წამებულ გმირებად.**

საზოგადოებრივი აზრი არცთუ იშვიათად ერთვგარად უკრიტიკოდ, ემოციის ტალღაზე აღიქვამს ამ ფაქტებს, ვერ აცნობიერებს მათ დამღუპველ შედეგებს. სწორედ ამიტომ შესაძლებელი გახდა მასობრივი უწესრიგობანი ფოთში, ჭითურაში, როდესაც საქმეში გაურკვეველი ადამიანები აპყენენ პროვოკატორებს, აშკარა დამნაშავეების დაცვა სცადეს, დაარბიეს და დაწვეს შინაგან საქმეთა განყოფილების შენობები, გიტაცეს იარაღი. იყო ამის ცდები სენაკშიც.

სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის პასიურობის და გულგრილობის გამო კვლავ გრძელდება ვანდალიზმის, ცივილიზებული ქვეყნისათვის სრულიად უცხო და მოუღებელი საზელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფის, საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებათა, მათ შორის სამეცნიერო დაწესებულებათა შენობების უკანონოდ, ძალადობის ზნით დაკავების, გაზეთების რედაქციების და გამომცემლობათა დარბევის, მასობრივი ინფორმაციის მუშაკების მიმართ მორალური ტერორის ფაქტები.

არის დესტაბილიზაციის ხელშემწყობი პირობების ხელოვნურად შექმნის ცდები ხალხმეწყო დაწესებულებებშიც კი, როცა ხელმძღვანელი სამეურნეო და სხვა კადრების დანიშვნის საკითხებში, ვითომდაც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, არაკეთილსინდისიერი, ანგარებითი ზრახვები ხორციელდება საეჭვო, კორუფციერებული ელემენტების მხარდასაჭერად.

სხდომაზე არაორაზროვნად ითქვა, რომ ყველა ამ და ბევრ სხვა ფაქტსაც ერთი რამ აერთიანებს — ვითარების დეტაბილიზაციის ხურვილი, რათა ჭუმყაინი ხელებითა და ხულით ვიხაკი რა მოეხურვება, ის აკეთოს.

ამის არდანახვა დანაშაულის ტოლფასია, დანაშაულია უმოქმედობაც, პასუხისმგებლობის შესუსტებაც, მით უმეტეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საშიში სიმპტომები, სამწუხაროდ, უკვე ტენდენცია ხდება, თანდათან აქტიურდება. **როცა საქმე ეხება ხალხის სიმშვიდის, მისი უფლებების დაცვას, ფიზიკურ და სოციალურ უსაფრთხოებას, აქ დაყოვნება არ შეიძლება. კონკრეტულ, ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს ყველა, ამას მოითხოვენ ყველგან და ეს სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. ხალხი არავის აპატიებს პასიურობას, მით უმეტეს — უმოქმედობას.** ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ეროვნული აღმაფლობისათვის, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა მხოლოდ მაღალზნეობრივ, საამართლებრივ საზოგადოებაში მიმდინარეობდეს, სადაც პატივს სცემენ კანონებს, საყოველთაოდ მიღებულ ცივილიზებულ ნორმებს, ადამიანის უფლებებს. ეს კეთილ უნდა შეიგნოს ყველამ, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოს ხვალინდელი დღე. ეს ხომ თვით ხალხის მოთხოვნაა, საზოგადოების ანრია, რომელიც თანდათან სულ უფრო შეურიგებელი და აქტიური ხდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

ამასთან, აუცილებელია მოქმედება დავიწყოთ დღესვე, დაუყოვნებლივ, რადგან ოპერატიული მდგომარეობა რესპუბლიკაში ყოველდღიურად იძაბება, გაუარესების, გართულების ტენდენცია აშკარაა.

სხდომაზე მოიყვანეს დამაფიქრებელი საგანგაშო სტატისტიკა. წლის პირველ ნახევარში დანაშაულის ისედაც მაღალი საერთო დონე თითქმის 18 პროცენტით გაიზარდა და 9.872-ს მიაღწია, თანაც, ეს მხოლოდ გამოვლენილი დანაშაულია. წინასწარი განზრახვით მკვლელობათა რაოდენობამ 76,6 პროცენტით იმატა, ჭურდობამ — 96,7 პროცენტით, ყაჩაღურმა თავდასხმამ — 159 პროცენტამდე, ავტომანქანების გატაცებამ — 86 პროცენტით და ა. შ.

თუ ვინმე შეეცდება თავი იმართლოს, რომ სამართალდარღვევების მხრივ საქართველო ბევრ რესპუბლიკას ჩამორჩება, პირდაპირ და მოურიდებლად უნდა ითქვას — ეს მცდარი, ანტიპატიოტური, ანტეროვნული პოზიციაა, ამით თავის მოტყუება, ხალხის მოტყუება, დანაშაულია.

წლევანდელ ექვს თვეში ავტოავარიებში 398 კაცი დაიღუპა და 1445 დასახიჩრდა, რაც მართლა ავტოინსპექციის მუშაკთა არადამკმაყოფილებელი მუშაობის შედეგი ყი არა, უფრო მეტად, უცულტურობისა და ზნეობის დეფიციტის, მოქალაქეობრივი აღზრდის სერიოზული ხარვეზების ბრალით. სწორედ რომ საგანგაშოა, რაკი მშვიდობიან პერიოდში ავტოსაგზაო შემთხვევებში ყოველწლიურად ავღანეთის ომის პერიოდზე რამდენჯერმე მეტი გვეღუპება. ეს ეროვნული უბედურებაა, ისევე, როგორც მოქალაქეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სიცოცხლის ხელყოფის გახშირებული შემთხვევები.

მიმდინარე წლის 6 თვეში 124 მკვლელობა მოხდა, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ეს თითქმის იმდენიანეა, რაც იყო მთლიანად 1988 წელს. დაუშატეთ ამ ყველაფერს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის საშიში მასშტაბები და ყველა უნდა დარწმუნდეს, რაც უნდა უსიამოვნო იყოს ეს, რომ ასეთი მძიმე ტვირთით შეუძლებელია მომავალი საქართველოს უზენაესი მიზნების პრაქტიკული რეალიზაცია. აქ აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი აზრი არა მხოლოდ ცალსახა, შეურიგებელი, არამედ აქტიურიც გახდეს. ეს უშუალოდ ეხება ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელსაც, მის პირად პასუხისმგებლობასაც. არ შეიძლება დამშვიდებით ვუყურებდეთ ასეთ პროცესებს.

სხდომაზე განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ მოხალისეობაში, უმთავრესად ახალგაზრდობაში დიდძალი ცეცხლსასროელი იარაღი დაგროვდა, ბევრი არაფერი კეთდება ამ იარაღის ჩამოსართმევად, მისი გავრცელების გზების ჩახაკეტად, მისით სპეკულაციის მოსასპობად. სრულიად მიუღებელია, როცა იარაღის ტარებაში მხილებულ პირთა მიმართ კანონის შესაბამისი ღონისძიებები არ ხორციელდება, მით უფრო მცდარია პოლიტიკური სიტუაციით ახსნა ასეთი პოზიცია. ეს ზომ ეცცხლთან თამაშია, პოტენციური სისხლისღვრა, ძალადობაა. ამის მოთმენა არ შეიძლება. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა აღადგინონ კანონიერება, ხოლო მთელმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით შშობლებმა რეალურად გაიცნობიერონ საფრთხე და შეურიგებელი, აქტიური პოზიცია დაიკავონ.

სხდომაზე პრინციპულად ითქვა ისიც, რომ „ფარული იკონომიკის ბოხები“ აქტიურებენ ხაქმიანობას, იტაცებენ სახალხო ხაკუთრებას, თანამდებობრივი დანაშაული, მექრთამეობა, გამომძალვა სულ უფრო მასშტაბური ხდება, სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკით კი რესპუბლიკაში გაუხრელად კლებულობს გამფლანგველთა. და მექრთამეთა რაოდენობა. თუ გამოვლენილი შემთხვევებით ვიმსჯელებთ, წელს რესპუბლიკაში დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცების მხოლოდ 6 შემთხვევა გვქონია, მექრთამეები არც შარშან გვყოლია ბევრი, სულ რაღაც 103, წელს — მხოლოდ 60. საგანგაშოა ისიც, რომ ყოველი მესამე ბოროტმოქმედება გაუხსნელი რჩება, ასეთია წლევანდელი ექვსი თვის მონაცემები. ალბათ, დადგა დრო, არა მარტო კატეგორიულად მოვთხოოთ ყველა რანგის ხელმძღვანელს სამსახურებრივი მოვალეობის პროფესიულ დონეზე შესრულება, არამედ პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებაც. ეს ეხება ყველას, თუნდაც მცირე შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელს, რომელიც სხვათა მიმართ იქნებ პრეტენზიულიცაა, „მიშველეთო“ ხშირად გაიძახის, მაგრამ თითს არ გაანძრევს, როცა სამართლიანობისათვის კონკრეტული ნაბიჯება გადასადგმელი, როცა წესრიგია დადა დამყარდეს მკაცრი წესრიგი, რათა ხალხმა „იცოდეს, სად მიდის სახელმწიფო თუ შეწირული თანხები, და თავისთავად მისასალმებელი, მხარდასაჭერი ქველმოქმედება სეეკეო საქმიანობის ასპარეზად არ იქცეს.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა მართებულად აღნიშნეს, რომ დროის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაისინჯოს მთელი რიგი საკანონმდებო აქტები, გაძლიერდეს მომთხოვნელობა ყოველი მუშაკისადმი, ამადლდეს მათი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური შეგნება. ამასთან, ძნელი იქნება ველოდეთ მდგომარეობის სეროიზულ გაუმჯობესებას, თუკი სამართალდამცავ ორგანოებს მხარში არ ამოუდგება მთელი საზოგადოებრიობა, ყველა შრომითი კოლექტივი, ყველა სასწავლებელი, მათი ხელმძღვანელობა. საზოგადოების საესებით გასაგები გულისტკივილი უნდა გამოიხატოს მათი კონკრეტული აქტიურობით, ყველამ თავის უბანზე, თავის გარშემო უნდა აღიმაღლოს ხმა, დაამყაროს წესრიგი, თვითონ იყოს ამ მხრივ პირადი მაგალითის მაჩვენებელი. ითქვა ისიც, რომ დღევანდელ რეალობებს უნდა მივუსადაგოთ სამართალდამცავი ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის თანამშრომლობის ბევრი ძარეი ტრადიცია, რომლებიც ამ ბოლო წლებში დავიწყებას მიეცა.

სხდომამ რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და გადაკრული აღკვეთის, ჯეროვანი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების უზრუველყოფის მხრივ არადამაკმაყოფილებლად ცნო. **მიღებულია შესაბამისი დადგენილება და დაინახა ქმედითი ღონისძიებანი სხვადასხვა სახის დანაშაულის, განსაკუთრებით — სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების დატაცების, იარაღის უკანონო ტარების, შენახვის, დამზადებისა და გასაღების, მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფის, თვითნებობისა და ყოველგვარი ძალადობის, მექრთამეობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრი გაძლიერებისათვის.** ყველა სამართალდამცავმა ორგანომ, მათმა თითოეულმა სამსახურმა, ქვედანაყოფმა ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თვისებრივად, რადიკალურად უნდა გარდაქმნან მუშაობა, აამაღლონ ყველა რგოლის, ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობა. მათთან აქტიურად უნდა ითანამშრომლონ და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა და პარტიულმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მთელმა ხალხმა, რადგან წესრიგი და სიმშვიდე ჩვენს მიწაზე საერთო-სახალხო, სრულიად საქართველოს, მისი ყოველი მცხოვრების ღვიძლი საქმეა და არა მარტო რამდენიმე სახელმწიფოებრივი ორგანოსი. წარსულს უნდა ჩაბარდეს დაუსჯელობის, განუკითხაობის ატმოსფერო. სამართალდარღვევების აღმოფხვრისაკენ მიმართულ მთელ ამ საქმიანობას უნდა ჰქონდეს სისტემატური, აქტიური, შემტევი, პრინციპული ხასიათი, მას უნდა მსჯავლადვდეს მკაცრი პასუხისმგებლობა, მკაცრი მომთხოვნელობა, რწმენა, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის, რესპუბლიკის ნათელი ხვალინდელი დღის სასიკეთოდ ხდება. **ამასთან, ხაზგასმით ითქვა სხდომაზე, სამართალდარღვევებს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი, კანონიერი გზებით უნდა ვებრძოლოთ. ესეც უაღრესად პრინციპული საკითხია და აქ ოდნავი გადახვევაც კი არ უნდა დავუშვათ.**

სხდომამ კატეგორიულად მოითხოვა, ყოველდღიურად შეჯამდეს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული შუშაობა, სისტემატურად ეცნობოს იგი მოსახლეობას, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ პრესისა და ტელევიზიის შესაძლებლობები. აღარ უნდა დავუშვათ, რომ მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას სამართალდარღვევებს ამა თუ იმ კონკრეტული ფაქტის გამო დაემატოს აღშფოთება მათ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის, მისი დაგვიანების გამო, რაც, როგორც ცნობილია, მრავალგვარ მითქმა-მოთქმას, ჭორებსა და საზოგადოებრიობის დეზინფორმაციას იწვევს, ხოლო ზოგიერთი საგანგებოდ სარგებლობს ასეთი ვითარებით. ხალხმა ობერატიულად და ობიექტურად უნდა იცოდეს, რა ხდება რესპუბლიკაში, მის ცალკეულ რეგიონში, რა ზომებია მიღებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, როგორია მათი კონკრეტული შედეგები.

სხდომამ პრინციპულ, პირუთვნელ, გულახდილ, ჩვენი ხალხის მშვიდი, ნათელი ხვალინდელი დღისთვის მკაცრი მომთხოვნელობის, მაღალი პასუხისმგებლობის ვითარებაში ჩაიარა. არავინ დარჩენილა გულგრილი, არავის ჩაუთვლია ეს მორიგ, რიგით, ჩვეულებრივ შეკრებად.

რწმენითა და იმედით დავეყრდნოთ შედეგებს, სიტყვის საქმედ ქცევას.

სამუშაო თათბირი

23 ივლისს სსრ კავშირის პრეზიდენტთან მ. ს. გორბაჩოვთან გაიმართა სამუშაო თათბირი იმ ორიგინალთა ბალავთარებლად, რომლებიც მიღწეულია სსრ კავშირის საფედერაციო საბჭოსა და პრეზიდენტის საბჭოს ბოლო გაერთიანებულ სხდომაზე. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ურთიერთდამოკიდებული პროცესებისა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შექმნის შესახებ.

თათბირში მონაწილეობდნენ პრეზიდენტის საბჭოს წევრები ა. ნ. იაკოვლევი, ი. დ. მასლიუკოვი, ე. მ. პრიმაკოვი, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. ი. ხასბულატოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ს. სილაევი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ვ. ს. პავლოვი, რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრი ბ. გ. ფედოროვი.

თათბირზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც აღნიშნა, თუ როდენ საჭიროა ცენტრალური და რუსეთის სფსრ შესაბამისი ორგანოების პოზიციათა შეთანხმება და მჭიდრო თანამოქმედება.

(საკდესი).

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი

საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით 23 ივლისს, მოსკოვში ოფიციალურ მეგობრურ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვი.პი.სინგი. აეროპორტში ინდოეთის მთავრობის მეთაურსა და მის მეუღლეს დახვედნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირნი.

აეროპორტიდან ინდოეთის მთავრობის მეთაურსა და მის მეუღლეს ერთ-ერთ ოფიციალურ ეგზეკუტივ ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი ნ. ნ. ბანერჯი.

ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, ყველა სფეროში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთმოქმედების შემდგომი სრულყოფის გზები იყო კრემლში იმავე დღეს დაწყებული ომ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში, რომელსაც ეწევიან ნ. ი. რიჟკოვი და ვ. პ. სინგჰი. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მრავალი წლის განმავლობაში შექმნილი ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის პოტენციალის სრული გამოყენების პრობლემებს.

* * *

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ინდოელი სტუმრის შეხვედრის ცერემონია.

ვ. პ. სინგჰსა და მის მეუღლეს გულთბილად მიესალმნენ სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი და მისი მეუღლე. გაიმართა ხანმოკლე საუბარი მ. ს. გორბაჩოვსა და ვ. პ. სინგჰს შორის.

* * *

აეროპორტიდან კრემლისაკენ ავტომანქანების კორტეჟის გზაზე ქუჩებში და მოედნებზე გამოფენილი იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშები და მისასალმებელი ტრანსპარანტები.

* * *

ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, ყველა სფეროში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთმოქმედების შემდგომი სრულყოფის გზები იყო კრემლში იმავე დღეს დაწყებული ომ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში, რომელსაც ეწევიან ნ. ი. რიჟკოვი და ვ. პ. სინგჰი. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მრავალი წლის განმავლობაში შექმნილი ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის პოტენციალის სრული გამოყენების პრობლემებს.

* * *

ნაშუადღევს კრემლის დიდ სასახლეში მ. ს. გორბაჩოვმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვ. პ. სინგჰმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას. ეს დოკუმენტი ადასტურებს და ავითარებს დელის დეკლარაციას, რომლის იდეები დღეს მსოფლიოს მონაპოვარი გახდა და მტკიცედ მკვიდრდება პოლიტიკურ პრაქტიკაში. ხელი მოაწერეს აგრეთვე სამთავრობათშორისო შეთანხმებას ინფორმაციის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ცერემონიას ესწრებოდნენ ნ. ი. რიჟკოვი, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოლაპარაკების სხვა მონაწილეები.

* * *

საღამოს საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით ვ. პ. სინგჰისა და მისი მეუღლის პატივსაცემად გაიმართა საღიერი.

სტუმრთან ერთად საღილზე იყვნენ ინდოელი ოფიციალური პირნი, რომლებიც თან ახლავან ინდოეთის მთავრობის მეთაურს.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი მეუღლითურთ, ნ. ი. რიჟკოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

საღილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მ. ს. გორბაჩოვმა და ვ. პ. სინგჰმა სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი იყო ვ. ი. ლენინის მაგზოლეუმში და გვირგვინი მიიტანა. გვირგვინთ შუამავლის აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

(საკდესი).

ემზადებიან ღია კოსმოსში გასასვლელად

ფრუნზის მართვის ცენტრი, 24 ივლისი. (საკდესი). კრძელდება „მირ“ სამეცნიერო-კვლევითი ეკიპაჟის მეექვსე ძირითადი ექსპედიციის ეკიპაჟის ფრენა. ასტროფიზიკური ექსპერიმენტების პროგრამის ფარგლებში შესრულდა „გლაზარ“ ულტრაიისფერი ტელესკოპის გამოყენებით ცის კამარის ფოტოგადაღების ორი სერია. „კრისტალ“ მოდულზე დადგმული „ბუკეტ“ ტელესკოპის და „გრანტ“ სპექტრომეტრის დაბარების რეგულარულად ეწყობა არამიწიერი წარმოშობის რენტგენის, გამა და ნეიტრონულ გამოსხივებათა გაზომვები.

კოსმოსური ბიოლოგიის პროგრამის შესაბამისად ორბიტული ფრენის პირობებში უმაღლეს მცენარეთა განვითარების შესწავლის მიზნით გრძელდება ექსპერიმენტები „სვეტ“ და „სვეტობლოკ-მ“ საბორტო ორანჟერეებში. კვლევის ობიექტებად არჩეულია ბოლოკი, სალათი და ხორბლის ღივი. ორშაბათს დაიწყო კიდევ ერთი ბიოლოგიური ექსპერიმენტი — „გელი“.

დღეს ანატოლი სოლოვიოვი და ალექსანდრე ბალანდინი დროის დიდ ნაწილს მოანდომებენ საფანდრებისა და მოწყობილობის მომზადებას ღია კოსმოსურ სივრცეში გასასვლელად, რაც ნაკლებ ოდენ 26 ივლისისათვის. კოსმონავტებმა უნდა შეასრულონ მთელი რიგი სადემონტაჟო სამუშაოები კომპლექსის გარე ზედაპირზე და ჩაკეტონ „კვანტ-2“ მოდულის რაბის ნაკვეთური გარეთა ლუკი, რომლის მთლიანად ჩაკეტვაც ვერ მოხერხდა 17 ივლისს გასვლის დროს.

სამედიცინო გამოკვლევის შედეგები, მეთაური და ბორტინჟინერი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობენ.

გზანაცლების შემდეგ

სადგური სამტრედია ერთ-ერთი დიდი სარკინიგზო კვანძია. ამ სადგურის გამტარუნარიანობაზეა დამოკიდებული ამიერკავკასიის რკინიგზის უბნებისა და მეზობელი რკინიგზების ნორმალური მუშაობა.

უკანასკნელ წლებში სადგურის ტექნიკური აღჭურვილობა და გამტარუნარიანობა აშკარად ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. სამი მიმართულებიდან მომავალი მატარებლებისათვის იგი ვიწრო ყელი გახდა. განსაკუთრებით ფერხდებოდა ტვირთის გაგზავნა თბილისისა და სომხეთისათვის, ამიტომაც, სადგურ სამტრედიის რეკონსტრუქცია-გაფართოება სასიცოცხლო აუცილებლობად იქქცა.

გადაწყდა სადგურ სამტრედია-მეორის აშენება. სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 1981 წელს დაიწყო და 1985 წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, საქმე გაჭიანურდა.

ბოლოს მშენებლობის ხელმძღვანელობა თვით სამტრედიის რკინიგზის განყოფილების უფროსს რემი ვაშაკიძეს დაევალა და, როგორც იქნა, საქმეს თავი მოეგნო. ამჟამად ძირითადი სამუშაოები დამთავრებულ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

დეფიციტი კი იზრდება

რესპუბლიკაში საპნისა და სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოშვებისა და მომხმარებლისათვის მათი მიწოდების, დავალების შესრულების, აგრეთვე ამ საქონლით ვაჭრობის ორგანიზაციაში ამას წინათ ჩატარებულმა შემოწმებამ სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა. სარეცხი საშუალებების მწვავე დეფიციტი არ ცხრება. წლეულს ამ სახეობის სასაქონლო მარაგი შემცირდა.

სარეცხი საშუალებების საბაზრო ფონდში რესპუბლიკაში წარმოებული ამ სახეობის პროდუქციის წლიმა 1986 წლის 27 პროცენტიდან 22 პროცენტამდე იკლო. სარეცხი საშუალებების საწარმოებებიდან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პროდუქციის წარმოებისა და მის მიწოდების გეგმებს სისტემატურად მხოლოდ თბილისის საწარმოო გაერთიანება „თეთრონა" (გენერალური დირექტორი—თ. კვინერაძე) ასრულებს. გასულ წლებში საპნის გამოშვების დავალების შესრულებას თავი ვერ გაართვა „საქმარგარონმრეწვის" საწარმოო გაერთიანების თბილისის საპნის ქარხანამ (დირექტორი — ნ. გოზალიშვილი), სინთეზური სარეცხი საშუალებებისა კი საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებმა. მათ მოსახლეობას, შესაბამისად 1800 და 340 ტონა სარეცხი საშუალებები დააკლეს. ეს კი დავალებით გათვალისწინებული გამოსაშვები და მისაწოდებელი პროდუქციის 7,2 და 88 პროცენტია.

ასეთი ვითარების მიზეზია საწარმოების ნედლეულითა და საფუთავი მასალებით უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი უზრუნველყოფა. მდგომარეობის გამოსწორებისათვის საწარმოთა ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ იღებენ. თბილისის საპნის ქარხანას, მაგალითად, მიწოდების ხელშეკრულების და დისციპლინის დარღვევა საწარმოთა მიმართ დღემდე არ მიუღია სათანადო ზომები.

არც რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქქიმბიოთუმვაჭრობის" სამართველოს (უფროსი — ნ. ხოფერია) მიერ გაწეული მუშაობაა ამ მხრივ საკმარისი. საქმე ის არის, რომ ნედლეულის ფონდებს საწარმოებს, როგორც წესი, მათი განაცხადებით ავადარაუდეგზე ნაკლებს გამოუყოფენ. კიდევ უფრო დიდია ეს სხვაობა განაცხადებსა და ფონდების ფაქტობრივი დასაქონლების მაჩვენებელთა შორის.

ზემოხსენებულმა სამმართველომ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და უსინათლოთა საზოგადოებისათვის ვერ უზრუნველყო 2400 ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოსაშვებად რეცეპტურით გათვალისწინებული საქონო ნედლეულის გამოყოფა და მიღება. არადა, ამ საქმის შესრულების აუცილებლობა განსაზღვრული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილებითა და 1989 წლის 30 იანვრის № 61-ე განკარგულებით.

ნაკლებად შედეგიანია რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის (თავმჯდომარის პირველი მოადგილე—ვ. კოჩარავი) საქმიანობა გეგმით გათვალისწინებული სინთეზური სარეცხი საშუალებების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მიღების საქმეში. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოების საწარმოებმა. შარშან ვერ გამოუშვეს დავალებით გათვალისწინებული 600 ათასი მანეთის 400 ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებები.

სერიოზული ნაკლოვანებებია სარეცხი საშუალებებით ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეშიც. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს (მინისტრის პირველი მოადგილე—ა. წილოსანი) შესაბამისი სამსახურები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმიდებენ სარეცხ საშუალებებზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას და დაკმაყოფილების საკითხებს. არ არის განსაზღვრული ამ საქონლის საშუალო სულადობრივი ხარჯვის რაციონალური ნორმები, რის გამოც რესპუბლიკის განაცხადები წინა წელს ფაქტობრივად რეალიზებული რაოდენობისა და სასაქონლო მარაგის გათვალისწინებით ყალიბდება. უფრო მეტიც, სარეცხი საშუალებების რესურსები ამ სისტემაში მექანიკურად ნაწილდება და ეს, ცხადია, არ შეესაბამება სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამასთან არ ითვალისწინებენ ერთ სულ მოსახლეზე ამ საქონლის ფაქტობრივი მოხმარების დონეს და ეს ნათლად ჩანს მაგალითიდანაც; ქალაქების ხაშურის, ოზურგეთის, სამტრედიისა და რუსთავის ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი იყო შესაბამისად 8,3; 6,2; 6,8 და 7,2 კილოგრამი, ხოლო ქუთაისის, გორისა და ფოთისათვის გაცილებით ნაკლები— 5,4; 5,9 და 4,7 კილოგრამი სარეცხი საშუალებები.

ბოლომდე ვერ იცავენ სახელმწიფო საფონდო დისციპლინას ვაჭრობის სამინისტროს „საქგალანტერიის" რესპუბლიკის საბითუმო ბაზაშიც (მმართველი—ლ. ჩქარეული). შარშან, სინთეზური სარეცხი საშუალებებით რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების საშუალოდ 95 პროცენტით დასაქონლების პირობებში, ქალაქების ფოთის, ზუგდიდის, ახალციხის, სენაკის სავაჭრო ორგანიზაციების საწარმოო გაერთიანებების, „საქქანაშრისის" და „ჭიათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების გაყოფილებების ფონდები, შესაბამისად. 136, 103, 116, 110 და 108 პროცენტით დასაქონლეს, ხოლო თბილისის, გორის, ზესტაფონის სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმრეწვის" მუშათა მომარაგების განყოფილების ფონდები კი—94, 84, 87 და 81 პროცენტით. „თბილისმრეწვავჭრობის" (დირექტორი — რ. ჭკუასელი) მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩვენი დედაქალაქის შვიდ საწარმოსა და ორგანიზაციაში მუშა-მოსამსახურეებისათვის 119,2 ათასი მანეთის სარეცხი საშუალებები შეიტანეს, მაგრამ შემოწმებით გაირკვა, რომ ფაქტობრივად მათთვის მხოლოდ 45,4 ათასი მანეთის საქონელი მიუყიდიათ, უფრო მეტიც, წყნეთის სამკერვალო ფაბრიკასა და № 3 მსუბუქი ტაქსმოტორების საწარმოში სარეცხი საშუალებები საერთოდ არ გაუყიდიათ. გაერთიანების მონაცემებით კი ამ საწარმოებში, თუმრა, შესაბამისად, 10,3 და 15,9 ათასი მანეთის იმპორტული სარეცხი საშუალებები შეუტანიათ. ამასთან, „თბილისმრეწვავჭრობის" № 50 და № 122 მაღაზიების შემოწმებისას სარეცხი საშუალებების გადამალვისა და მათზე ფასგამოუცხადებლობის ფაქტებიც გამოვლინდა.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს დავალა მეტი ყურადღება მიაქციოს სარეცხი საშუალებებით ვაჭრობის ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიებების განხორციელების საკითხებს.

სარეცხი საშუალებების წარმოებისა და რეალიზაციის, აგრეთვე ამ საშუალებებით მოსახლეობის დაკმაყოფილების საქმეში შექმნილი სიძნელეებისა და ნაკლოვანებებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დასაჯა საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქმიბითუმვაჭრობის" სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს „საქგალანტერიის" რესპუბლიკური საბითუმო ბაზის მმართველის მოადგილე და „თბილისმრეწვავჭრობის" დირექტორი და მოსთხოვა მათ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელება, შედეგების კომიტეტისათვის აუცილებელი შეტყობინებით ამა წლის ივლისში. მათვე დაევალათ ინფორმაციით გამოვიდნენ შრომითი კოლექტივების წინაშე და განუმარტონ, თუ რას აპირებენ შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

როგორ და რამდენს ვაშენებთ?

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის, საცხოვრებელ სახლებზე მიზნებსა-დაშენების სამუშაოების ორგანიზაციის სრულყოფის და დაჩქარებისათვის თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული სახელოების აღმასკომების ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილი ადგილები არც მისასვლელი გზებით, წყალმომარაგებით, ელექტროენერგიით, გაზითა და კომუნალური მომსახურების სხვა სახეობებით არის უზრუნველყოფილი. გასაუმჯობესებელია ასაგები სახლების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტა. სწორედ ასეთი ვითარების მიზეზია ის, რომ ბინათმშენებლობისათვის შარშანწინ და შარშან გაცემულ 1517 ნებართვიდან მიმდინარე წლის აპრილის დამდეგისათვის ალბ მხოლოდ 45 სახლი.

ამჟამად თბილისში ყალიბდება 90 ამხანაგობა, მათგან დაკომპლექტებულია 59. ამასთან, გლდანის, ოქტომბრისა და სამგორის რაიონებში ასეთი ამხანაგობები საერთოდ არ შექმნილა.

ყურადსაღებია ისიც, რომ ხაბინათ ფონდების მოცულობის ზრდა ქალაქის ზოგიერთ რაიონში ძირითადად მიშენება-დაშენებისა და რეკონსტრუქციის ხარჯზე მიმდინარეობს. შარშან და შარშანწინ თბილისში საამხოდ გაიცა 1214 ნებართვა, ანუ იმდენივე, რამდენიც ასავე პერიოდში ინდივიდუალური ბინათმშენებლობისთვის.

სამწუხაროდ, აღმასკომების ცალკეული მუშაკები ვერ უდგებიან საკითხების გადაწყვეტას პრინციპიულად და ამიტომ, არცთუ იშვიათად, მიშენება-დაშენებს სამუშაოები უპროექტოდ, ან მისი დარღვევით სრულდება. ხვალალა ისიც, რომ ეს პროცესი სულ უფრო უმართავი ხდება.

შარშან, როგორც ამას აღმასკომების მონაცემები ადასტურებენ, ზემოხსენებული სამუშაოების წარმართვის ნორმები და წესები 87-ჯერ დაირღვა. ლენინისა და ვაკის რაიონებში, მაგალითად, შერჩეული შემოწმებულ თითქმის ყველა ობიექტზე გამოვლინდა დარღვევა. 26 ობიექტზე მათგან მშენებლობა უპროექტოდ, ხოლო 28-ზე უნებართვოდ მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, ზემოხსენებულ ორ რაიონში არ სრულდება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და მთავარი არქიტექტურულ-დაგეგმარებითი ნორმების" სამართველოს (უფროსი — ნ. ხოფერია) მიერ გაწეული მუშაობაა ამ მხრივ საკმარისი. საქმე ის არის, რომ ნედლეულის ფონდებს საწარმოებს, როგორც წესი, მათი განაცხადებით ავადარაუდეგზე ნაკლებს გამოუყოფენ. კიდევ უფრო დიდია ეს სხვაობა განაცხადებსა და ფონდების ფაქტობრივი დასაქონლების მაჩვენებელთა შორის.

ზემოხსენებულმა სამმართველომ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და უსინათლოთა საზოგადოებისათვის ვერ უზრუნველყო 2400 ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებების გამოსაშვებად რეცეპტურით გათვალისწინებული საქონო ნედლეულის გამოყოფა და მიღება. არადა, ამ საქმის შესრულების აუცილებლობა განსაზღვრული იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 13 იანვრის № 15 დადგენილებითა და 1989 წლის 30 იანვრის № 61-ე განკარგულებით.

ნაკლებად შედეგიანია რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის (თავმჯდომარის პირველი მოადგილე—ვ. კოჩარავი) საქმიანობა გეგმით გათვალისწინებული სინთეზური სარეცხი საშუალებების წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მიღების საქმეში. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საზოგადოების საწარმოებმა. შარშან ვერ გამოუშვეს დავალებით გათვალისწინებული 600 ათასი მანეთის 400 ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებები.

სერიოზული ნაკლოვანებებია სარეცხი საშუალებებით ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეშიც. რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს (მინისტრის პირველი მოადგილე—ა. წილოსანი) შესაბამისი სამსახურები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმიდებენ სარეცხ საშუალებებზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას და დაკმაყოფილების საკითხებს. არ არის განსაზღვრული ამ საქონლის საშუალო სულადობრივი ხარჯვის რაციონალური ნორმები, რის გამოც რესპუბლიკის განაცხადები წინა წელს ფაქტობრივად რეალიზებული რაოდენობისა და სასაქონლო მარაგის გათვალისწინებით ყალიბდება. უფრო მეტიც, სარეცხი საშუალებების რესურსები ამ სისტემაში მექანიკურად ნაწილდება და ეს, ცხადია, არ შეესაბამება სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. ამასთან არ ითვალისწინებენ ერთ სულ მოსახლეზე ამ საქონლის ფაქტობრივი მოხმარების დონეს და ეს ნათლად ჩანს მაგალითიდანაც; ქალაქების ხაშურის, ოზურგეთის, სამტრედიისა და რუსთავის ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი იყო შესაბამისად 8,3; 6,2; 6,8 და 7,2 კილოგრამი, ხოლო ქუთაისის, გორისა და ფოთისათვის გაცილებით ნაკლები— 5,4; 5,9 და 4,7 კილოგრამი სარეცხი საშუალებები.

ბოლომდე ვერ იცავენ სახელმწიფო საფონდო დისციპლინას ვაჭრობის სამინისტროს „საქგალანტერიის" რესპუბლიკის საბითუმო ბაზაშიც (მმართველი—ლ. ჩქარეული). შარშან, სინთეზური სარეცხი საშუალებებით რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების საშუალოდ 95 პროცენტით დასაქონლების პირობებში, ქალაქების ფოთის, ზუგდიდის, ახალციხის, სენაკის სავაჭრო ორგანიზაციების საწარმოო გაერთიანებების, „საქქანაშრისის" და „ჭიათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების გაყოფილებების ფონდები, შესაბამისად. 136, 103, 116, 110 და 108 პროცენტით დასაქონლეს, ხოლო თბილისის, გორის, ზესტაფონის სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმრეწვის" მუშათა მომარაგების განყოფილების ფონდები, შესაბამისად. 136, 103, 116, 110 და 108 პროცენტით დასაქონლეს, ხოლო თბილისის, გორის, ზესტაფონის სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქმრეწვის" მუშათა მომარაგ

სიახლენი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება ჩიხში მოექცა. ათეული წლების მანძილზე გაბატონებულმა დოგმატიზმმა და სქოლასტიკამ მნიშვნელოვნად შეარყია საზოგადოებათმცოდნეობის ავტორიტეტი, გამოიწვია სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლიანი უკმაყოფილება და პროტესტი

— ბატონო რევაზ, დღეს ბევრს ლაპარაკობენ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებაში არსებულ კრიზისულ მდგომარეობაზე, გამოთქვამენ სრულიად განსხვავებულ, ზოგჯერ რადიკალურ შეხედულებებს თვით ამ საგნების სწავლების მიზანშეწონილობის შესახებ. თქვენ როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?

— მართალი ბრძანდებით. შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს ყოფილა ისე რთული და საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება, როგორც ამჟამად. ეს გამოწვეულია უპირატესად იმით, რომ ჩვენი მუშობა მიმდინარეობს დოგმატური აზროვნებისა და ყოვლგასული სტერეოტიპების მსხვრევის, ღირებულებათა საყოველთაო გადფასების, ახალი აზროვნების შესაბამისად ისტორიული წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების ობიექტური შესწავლისა და შეფასების პირობებში.

თუ წარსულში საზოგადოებათმცოდნეობის ძირითადი ფუნქცია უმთავრესად მოვლენათა ფიქსატორისა და კომენტატორის როლით იყო შემოფარგლული, დღეისათვის ვითარება ამ მხრივ არსებითად იცვლება. ისტორიული წარსულის ახლებურად გააზრების დღევანდელ პირობებში, როდესაც ტაბუ აეხსნა მრავალ საკითხს და გაჩნდა მათ შესახებ სხვადასხვა აზრის გამოთქმის, მეცნიერული შეპაექრების საშუალება, შესაძლებლობა გვაძლევს გაიფახტოს ტენდენციურობისა და ნახევრად სიმართლის ბურუსი, მოვახდინოთ წარსულის ობიექტური ანალიზი. ალბათ, ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ დღეს ფართო მასშტაბებით აქვს თამამ ძიებებს მეცნიერებაში, იდეებისა და მიმართულებების ჭიდელს, ნაყოფიერ დისკუსიებს. ისტორიულმა გამოცდილებამ კარგად დაგვანახა, რომ მეცნიერებისათვის მავნეა, როგორც სქოლასტიკური აზროვნება, ისე ფაქტების პასიური რეგისტრაცია, რომელიც ერიდება გაბედულ თეორიულ განზოგადებებს. კარგად მოგეხსენებათ — კონიუნქტურობა რეალობისაგან მოწყვეტა, რასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი. ცხადია, ამიტომაც საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლება უფრო საინტერესო ხდება, რაც არა მარტო საჯაროობის შედეგია, არამედ საზოგადოებრივ მეცნიერებათა თავისუფალი განვითარების აუცილებელი პირობაც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდობის მისწრაფებებს ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი სკოლა, ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების შინაარსი, სტრუქტურა და პრაქტიკა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცხოვრებასთან, ახალგაზრდობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებთან. ქვეყნის 80-მდე უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებულმა ანკეტურმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებით უკმაყოფილია გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარზე მეტი, ხოლო საზოგადოებათმცოდნე მასწავლებელთა მესამედმა აშკარად განაცხადა, რომ მათი დისციპლინები ღრმა კრიზისს განიცდის.

ზემოთაღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთელი სისტემა ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიზმის მარწუხებში იყო მოქცეული, რაც გამორიცხავდა ადგილობრივ ინიციატივას და „ერთიანი ხაზიდან“ გადახვევის მცირე შესაძლებლობასაც კი, მაშინ უსათუოდ გასაგები იქნება საზოგადოებათმცოდნეობაში შექმნილი უმძიმესი სიტუაცია. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი მხოლოდ და მხოლოდ არსებითი ცვლილებების გზით არის შესაძლებელი.

— ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პარტიის ისტორიის კურსის ნაცვლად შემოღებულია პოლიტიკური ისტორიის სწავლება, ზოგს მიაჩნია, რომ მხოლოდ აბრა შეიცვალა, შინაარსი კი ძველებურად დარჩა. რას იტყოდით ამის თაობაზე?

— გარდაქმნის სულისკვეთების შესაბამისად საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში მთელი რიგი სიახლეები დამკვიდრდა. შეიცვალა საზოგადოებრივ დისციპლინათა სასწავლო პროგრამები და შესაბამისად სახელწოდებაც.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1989 წ. 22 აგვისტოს ბრძანებით „ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გარდაქმნის შესახებ“ რეკომენდებულია სკკპ ისტორიის ნაცვლად პოლიტიკური ისტორიის ახალი სასწავლო კურსის შემოღება. იგი გამიზნულია იმისათვის, რომ ჩვენს სტუდენტებს მისცეს უფრო ღრმა და კვალიფიციური ჰუმანიტარული განათლება, აამაღლოს მისი პოლიტიკური ცოდნისა სწავლების შინაარსი, ეტაპებად ეფუძნებოდეს ბოლშევიზმის ანალიზი, ეფუძნებოდეს ობიექტურ ანალიზს ბოლშევიზმის ევოლუციისა, ბოლშევიზმის ადგილისა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში“ და სხვ. ამგვარი სპეციკურსების ჩატარებამ გარკვეულად გამოაცალა სასწავლო პროცესი და, ცხადია, სტუდენტთა დაინტერესებაც გამოიწვია.

პოლიტიკური ისტორიის სწავლებას დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ არა გვაქვს სახელმძღვანელო და უახლოეს დროში მისი შექმნა ალბათ ვერც მოხერხდება. ასეთ პირობებში კათედრამ გადაწყვიტა მოამზადოს საღექციო კურსები ცალკეულ თემებზე და როტაციის წესით გამოსცეს ახალი სასწავლო წლისათვის.

— როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტონომია მიიღო. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს კათედრებს დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ის საკითხები, რომლებსაც ადრე ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი წყვეტდა, როგორია ამ მხრივ მდგომარეობა თქვენს კათედრაზე?

— უნივერსიტეტის ავტონომიის ეტაპზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მდგომარეობას და იმ პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, რომლებიც ამ მოძრაობის ავანგარდში არიან.

— და, ბოლოს, საინტერესოა თქვენი, როგორც საზოგადოებათმცოდნის აზრი ახლახან დამთავრებული XXVIII კპკ XXVIII ყრილობის შესახებ. რა იმპულსებს მიანიჭებს იგი საზოგადოებრივი და პარტიული ცხოვრების განახლების პროცესებს?

— გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, XXVIII პარტიული ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იმ პრობლემებს შორის, რომელზეც ყრილობამ საფუძვლიანად იმსჯელა და მათი გადაწყვეტის გზებიც დასახა, მე მაინც გამოვყოფდი ეროვნულ საკითხს, რადგან გარდაქმნის ბედი, ქვეყნის მომავალი უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება ეროვნებათშორისი ურთიერთობა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ცენტრისა და რესპუბლიკების ახლებური კავშირურთიერთობა.

გავაკრიტიკეთ და ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყრილობამ პირადად ჩემი მოლოდინი ვერ გაამართლა. საქმე ის არის, რომ ერთაშორისი ურთიერთობის გამწვავების და ეთნოკონფლიქტების წარმოშობის უმთავრესი მიზეზია ის, რომ ამ სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას კვლავაც ძველი უნიტარული მეთოდებით ცდილობენ. ეს კი, ეროვნული თვითშეგნების არნახული აღმავლობის და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული ფაქტორის ზრდის პირობებში, უიმედო საქმეა.

ვერა და ვერ შევლევიდართ ძველ შეხედულებებს, რომელთა თანახმად, ცენტრალიზმი თითქოსდა გვაერთიანებს, ხოლო დამოუკიდებლობა — გვთიშავს. არადა, საქმე პირიქითაა. საბჭოთა ფედერაცია, როგორადაც უნდა მოხდეს მისი ფერისცვალება, ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკების ნამდვილ სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, ამიტომ უნიტარული სახელმწიფო უნდა შეიცვალოს არა განახლებული ფედერაციით, არამედ კონფედერაციით.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის პირველი ეტაპისა და შემდეგ გამართული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მოიცვა, ჩემი აზრით, არსებით როლს შეასრულებენ საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის საქმეში. საქართველოს დელეგაციამ საკავშირო ყრილობაზე ბოლომდე მტკიცედ დაიცვა ეს გადაწყვეტილებანი, რაც მისი ნების მანდატის გამართულია და იმედის მომცემი.

კონიუნქტურობა რეალობას მოწყვეტია

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ეროვნული ფაქტორის ზრდა ობიექტური მოვლენაა. ეს ფაქტორი ადრე ან გვიან, ასეთ ან ისეთ ფორმებში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებში ინაცვლებს. ეს ინსტიტუტები ეროვნულ-ეკონომიკურ ინტერესებზე ამყარებენ ეროვნულ-ეკონომიკურ ინტერესებს,

სოლომონ დოდაშვილის დაბადების 185 წლისთავის გამო

აზრის მედროშე

185 წელი შესრულდა ქართველი ფილოსოფოსის, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის, იმ ადამიანის დაბადებიდან, რომელზეც დიდმა ილიამ თქვა, ჩვენი დროშა მისგან გვაქვს გადმოცემული მემკვიდრეობითო.

სოლომონ დოდაშვილი პირველად ცნობილი გახდა წიგნით „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა", რომელიც მან 22 წლისამ, 1827 წელს გამოსცა პეტერბურგში უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. „ლოგიკა" ჩაფიქრებული ფილოსოფიური კონცეფციის შესავალი ნაწილი იყო. მისი ბედუკულმართი ცხოვრება ისეთი აღმოჩნდა, რომ ვერ შეძლო ამ საქმის დაბოლოება, მაგრამ ისიც, რაც შექმნა, ნოვატორული აღმოჩნდა ბევრი თვალსაზრისით.

მასში მთავარი ყურადღება გადატანილია ლოგიკური პრობლემატიკის თავისთავად ღირებულებასა და შინაარსზე. ეს ლოგიკის და საერთოდ მეცნიერების განვითარების მაგისტრალური გზა არის, მაგრამ არა მარტო ახალი სტილი. ახალი სტილით ახალი შინაარსიც იყო გადმოცემული, სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკამ" ქართულ ფილოსოფიაში გზა გაუხსნა იდეათა სრულიად ახალ ნაკადს — გერმანულ კლასიკურ იდეალიზმს, კანტის, ფიხტეს, შელინგის მეხედულებებს,

აშკარა იყო, ქართულ კულტურას ახალ ნიადაგზე წარსულის ტრადიციების გამგრძელებლად მოევლინა განათლებული და უაღრესად ნიჭიერი ადამიანი.

ამის დასტური იყო ახალგაზრდა ს. დოდაშვილის მთელი იქამდელი ცხოვრებაც. იგი სოფლის მღვდლის ოჯახში დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში, 1805 წლის 14 მაისს ძვ. სტ.). სწავლობდა ჯერ სიღნაღის სამრევლო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ — თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ მან ისე გამოიჩინა თავი, რომ კურსის დამთავრებამდე უკანვე დაბარუნეს, ოღონდ უკვე მასწავლებლად. მიტროპოლიტ იოანე ბოდბელიხ ქომაგობითა და შემწეობით 19 წლის ს. დოდაშვილი პეტერბურგს გაემგზავრა და სწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე.

პეტერბურგში სოლომონს ახალი მრჩეველი და მფარველი გამოუჩნდა — ბერ-მონაზონი იონა ხელაშვილი, ცნობილი ფილოსოფოსი და თეოლოგი. მის ხარჯზე იღებდა სოლომონი დამატებით გაკვეთილებს ენებში. ახალგაზრდა სოლომონ დოდაშვილში იგი ხედავდა დიდი შესაძლებლობის ადამიანს, რომელსაც შეეძლო კეთილი გავლენა მოეხდინა სამშობლოს ბედზე.

1827 წელს ს. დოდაშვილი საქართველოში ბრუნდება. თბილისში ჩამოსვლისთანავე ებმება პედაგოგიური მოღვაწეობაში — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლის ქართულ სიტყვიერებას, რიტორიკას, ლოგიკას, გეოგრაფიას, როგორც ჩანს აპირებს ფილოსოფიის ჩაფიქრებული სრული კურსის გაგრძელებაზე მუშაობას.

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევისა და საქართველოს ანექსიის შემდეგ, საქართველოში ცხოვრ ებ ი ს ტრადიციული წესები ადგილს უთმობს ახალ ურთიერთობებს, ინერგება განათლების სისტემა, რომელიც არ ითვალისწინებს ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებს. ეს ინვევს ხალხის სულიერი ძალების დაქვეითებას: ადამიანთა უპირველეს საზრუნავად ყოველდღიურობა იქცევა, შემოქმედებითი შრომის მიმართ ბატონდება გულგრილობა, ქართული ენა ჰკარგავს საჯარო ფუნქციებს „განსწყდა ჯაჭვი ცხოვრების... ანწყოსა და წარსულს შორის ჩასტყდა ხიდი,.. დენა ცხოვრებისა შედგა, გაჩერდა", —ასეთი სიტყვებით ახასიათებდა ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდს.

სამაგიეროდ რუსეთიდან და ევროპიდან შემოსვლას ინყებს უცხოური კულტურული ღირებულებანი, ტექნოლოგიური მიღწევები. ქართული კულტურა თითქოს კარგავს თავის ეღერადობასა და ელფერს, რასაც შეეძლო წარმოეშვა ძალზე სახიფათო გრძნობა „კულტურული არასრულფასოვნებისა", იმისა, რომ ერთვნულმა სამეურნეო და კულტურულმა ტრადიციამ, საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულმა აზროვნების ყაიდამ, ქართულმა ენამ ამოწურეს თავი, მოჭამეს დრო, დაკარგეს ყოველგვარი ღირებულება და საჭირონი აღარ არიან.

ს. დოდაშვილმა იგრძნო, რომ ამ ვითარებაში მხოლოდ ლოგიკის ან თუნდაც წმინდა ფილოსოფიის კვლევა მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა საქართველოსათვის, და, ერთგული თავისი სულიერი მამის სიტყვებისა — „მამულისა საქმენი მარადის პირველი აღასრულეთ", აკეთებს არჩევანს: იწყებს კულტურის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის პროპაგანდას, საგანმანათლებლო და საგამომცემლო მოღვაწეობას.

1828 წლიდან ს. დოდაშვილი რედაქტორობს გაზეთ „ტფილისის უწყებანის" ქართულ გამოცემას, მოგვიანებით კი აარსებს და გამოსცემს ყურნალს „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელშიც იბეჭდება „თავისუფლების მოყვარეობით აღბეჭდილი თხზულებანი", ს. დოდაშვილი ოცნებობს ბიბლიოთეკის დაარსებას, სტამბის გახსნას. თავისუფალი დრო თითქმის არ რჩება, მაგრამ ს. დოდაშვილის მუყაითობა უსაზღვრო. ღამეებს ათენებს მუშაობაში. თითქოს ბედისწერის აჩქარებული ფეხის ხმა ესმის, თვითონაც ჩქარობს.

„აპა, მამაო საყვარელო! — ანგარიშს აბარებს იგი 1829 წლის ბოლოს იონა ხელაშვილს, — რიცხვიანი შემოქმედებათა ჩემთან: 1) შევადგინე ღრამატიკა... 2) სრულყოვ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა, 3) ეპსთარგმნე... სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისნი, 4)...ცხენის სრბოლისათვის წიგნი, 5) შევადგინე რეესტრი ქართული წიგნებისა რიცხვით ექვსამდე... 6) შევადგინე... ზნეობითნი ნაწყვეტობანნი... 7) შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებათა მისითა, 8) ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მნერალთა და რომელიმე სრულ ვყავ". ინტენსიური მუშაობა გრძელდება. ქვეყნდება მისი ლიტერატურულ-ისტორიული და პუბლიცისტური სტატიები, რომელთაგან აღსანიშნავია „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა", მხატვრული ნაწარმოებები — ზოგი ორიგინალური, ზოგიც ნათარგმნი.

1832 წლის დეკემბერი. დოდაშვილი 27 წლისაა. 9 დეკემბერს გამყლავნდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება. აპატიმრებენ ყველას. თითქმის ერი ღამის განმავლობაში. 11 დეკემბერს დოდაშვილიც დააპატიმრეს. ამის შემდეგ კიდევ იცოცხლა, მაგრამ როგორც შემოქმედი აღარ არსებობდა. ბევრია დაწერილი ამ შეთქმულების მიზნებისა და მოტივების შესახებ. მაგრამ თითქმის ყოველთვის, მისი შეფასებისას რაღაც ბოდიშის მოხდისმაგვარი ხმები ისმოდა. სწორია, რომ შეთქმულებას არ ჰქონდა არც ერთიანი იდეური საფუძველი, არც სოციალური ბაზა, ისიც სწორია, რომ შეთქმულთა უმრავლესობა მაღალი წრიდან იყო. მაგრამ შეთქმულებას ჰქონდა ერთი ურყევი და მაღალი მიზანი — საქართველოს თავისუფლება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა. ისინი, ვინც მონარქიის აღდგენაზე ფიქრობდნენ, და ისინიც ვისაც რესპუბლიკური წყობის შექმნა სურდათ (სოლომონ დოდაშვილი, ისტორიკოსთა აზრით, ამ უკანასკნელთა შორის იყო) გაერთიანა ამ დიდმა მიზანმა. ს. დოდაშვილი მაშინდელ საქართველოში გონიერებისა და სიბრძნის სიმბოლო იყო და შეთქმულებაში მისი მონაწილეობა საზოგადოების თვალში შეთქმულების მიზნების დადებითს ღირებულებას ადასტურებდა.

ამიტომ, ალბათ არცაა გასაკვირი, რომ ყველაზე მძიმე სასჯელი ს. დოდაშვილს ერგო. მას აპყარეს მასწავლებლის ნოდება, 10 წლით გადაასახლეს ციატკის გუბერნიაში და სამუდამოდ აუკრძალეს საქართველოში დაბრუნება. ვიატკაში (ამჟამად ქ. კიროვი) გუბერნატორის კანცელარიაში მუშაობდა. სოლომონ დოდაშვილს გადასახლებაში თან გაჰყვა მეუღლე ელენე კობიაშვილი შვილებით. ჩრდილოეთის ჰავა საბედისწერო აღმოჩნდა ტუბერკულიოზით დაავადებული სოლომონისათვის. უკანასკნელი თვეები გაჭირვებასა და ტანჯვაში გაატარა. ამის თაობაზე არსებობს ა. ი. გერცენის მოგონებები, ჰგრეთვე საექიმო კომისიის შემაძრწუნებელი ცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გასაკვირველია, რატომ არ იზრუნეს მასზე თანამემამულეებმა. ამ დროისათვის ბევრი მათგანი უკვე შინ იყო.

სოლომონ დოდაშვილი 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა. დასაფლავებულია იქვე, ვიატკაში. მაგრამ ამჟამად ის სასაფლაო აღარ არსებობს, ს. დოდაშვილის საფლავიც დაკარგულია. თვალი გადავავლოთ ჩვენს ისტორიას. ძალზე ბევრი ხომ არ გვაქვს დაკარგული საფლავები?!

ს. დოდაშვილის ცხოვრება, შემოქმედება და ტრაგიკული აღსასრული საქართველოს ისტორიის ორგანული ნაწილია. ის შთაგვაგონებს კიდეც და სინდისის ქეჯნასაც ბადებს ჩვენში. სოლომონის მოწაფე ნ. ბარათაშვილი მის სათქმელსაც ამბობდა, როდესაც თავისი „მერანის" სტრიქონებს წერდა. ვინ იცის, იქნებ, ზოგიერთი ფრაზა სოლომონ დოდაშვილისაგანაც გაეგონა.

ლერი მჭედლიშვილი.

სურათზე: სოლომონ დოდაშვილი.

მოქანდაკე ავთანდილ მჭედლიშვილი.

დრო და ხელოვანი

მრავალმხრივი შემოქმედი

ამ რამდენიმე ხნის წინ, მარნეულში კულტურის სასახლის ფასადი ბრინჯაოს ბარელიეფმა დაამშვენა. ტონდოს მარჯვენა მხარეს მამაკაცის ღამაზი, ენერგიული და მეტყველი სახეა გამოსახული, ხოლო დახარჭულ სიბრტყეზე მკაფიოდ იკითხება ღრმა ჭრილით შესრულებული წარწერა: „უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ იცოდე.". ეს ტონდო მოქანდაკემ მიუძღვნა ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერს მერაბ კოსტავას. დამახასიათებელია პროფილში გამოკვეთილი სახის პლასტიკური მეტყველება და ფორმათა ლაკონური დამუშავება. სახის მკაფიო ნაკვთები, ენერგიული და სიღრმისეული მზერა მტკიცე ნებისყოფითა და დიდი შინაგანი ძალით დამუხტულ პიროვნების სახეს ქმნის. მოქანდაკე სადა საშუალებებით მონუმენტურობას აღწევს.

ბრინჯაოში ჩამოსხმული ბარელიეფის ავტორი, ცნობილი ქართველი მოქანდაკე ავთანდილ მჭედლიშვილია. შემთხვევითი არ იყო, რომ მერაბ კოსტავას ამ თავისებური მემორიალის შექმნა სწორედ მას დაეკისრა. მემორიალური დაფები სპეციალური თემაა მოქანდაკისათვის და იგი ლაკონურ, მაგრამ ყოველთვის მეტყველ ფორმას ითხოვს, როცა ავტორმა ძუნწი საშუალებებით გამომხატველობის ისეთ ზტრიხებს უნდა მიაგნოს, რომ დამაჯერებელიც იყოს და ამავე დროს ემოციური.

მცირე ზომის ქანდაკებებთან ერთად მოქანდაკე თავდებადე დიდი გატაცებით მუშაობდა მედალიონური ხელოვნების დარგში და რამდენიმე ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომლებიც სამბოლოებისა და ჰერალდიკური ატრიბუტების გამოყენებით ღრმა შინაარსს ატარებენ. ავთანდილ მჭედლიშვილმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ თბილისს 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ ბარელიეფში გამოავლინა დაკვირვებული თვალი და მდიდარი ფანტაზია. ალბათ, ყველას ახსოვს სამკუთხად მოხრილი მარჯვენა ხელის მტევანი, მასზე შემჯდარი მიმნოს გამოსახულებით, რომელიც ფართოდ იყო რეპროდუცირებული სხვადასხვა დროებითებში თუ ჟურნალებში. დასამახსოვრებელი ბრინჯაოს ბარელიეფი შექმნა მოქანდაკემ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ერთობლივი გაფრენის აღსანიშნავად. იგი ამერიკელ ასტრონავტებს თბილისელთაგან გადაეცათ. ამის შემდეგ მან მრავალი სამაგიდო მედალიონი შექმნა საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა სიმპოზიუმებისა თუ კონგრესების სამახსოვროდ, მათში ყოველთვის მოხდენილად იყო გამოყენებული ძველი ქართული პლასტიკის ნიმუშები, თანამედროვედ ამეტყველებული და ახლებურად ინტერპრეტირებული.

ავთანდილ მჭედლიშვილმა რამდენიმე ქართველი მოღვაწის მემორიალური ბარელიეფი შეასრულა. აღსანიშნავია ცნობილი ქართველი პოეტის რევაზ მარგიანის სამახსოვრო დაფა, რომელზედაც პოეტის პორტრეტია წარმოდგენილი და მგოსნის შთაგონებული სახეა შექმნილი.

მოქანდაკე საქართველოს წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა სახეებსაც მიმართავს. მის მიერ შესრულებულია ერეკლე II პორტრეტი, რომელიც კარგად გამოხატავს პოლიტიკური მოღვაწის და მებრძოლის სახეს.

ავთანდილ მჭედლიშვილი აქტიურად მუშაობს და სისტემატურად მონაწილეობს გამოფენებში საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, მაგრამ მთავარი ავთანდილ მჭედლიშვილის შემოქმედებაში მონუმენტური ქანდაკება იყო. მის მიერ შექმნილი ძეგლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეშია დადგმული და რამდენიმე ჯილდო აქვს მიღებული საუკეთესო ნამუშევრებისათვის. ხელოვნის თემატიკა მდიდარია. ის ასრულებს სკულპტურულ ჯგუფებსა და ცალკე მდგომ ფიგურათა მონუმენტებს, ისტორიულ პირთა პორტრეტებს, სიმბოლურ გამოსახულებებს. იგი, როგორც მხატვარი, ყალიბდება ქართული მონუმენტური ქანდაკების განვითარების იმ პერიოდში, როცა განსაკუთრებით მკვეთრად დაისვა მონუმენტური ქანდაკების და გარემოს ურთიერთკავშირის და მიმართების საკითხი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დიდგა მემორიალური სკულპტურები — მიძღვნილი როგორც ძველი და უახლოესი ისტორიული მოვლენებისადმი, ისე გამოჩენილი პიროვნებებისადმი.

სხვადასხვაგვარია ავთანდილ მჭედლიშვილის სკულპტურების გადაწყვეტა. იგი მიმართავს მრგვალ ქანდაკებასაც და სხვადასხვა სიმაღლის რელიეფს. ყველა მის ნამუშევარში მეტნაკლებად ვლინდება მხატვრის მისწრაფება სადა, ლაკონური ფორმებისადმი, რომლებსაც იგი დამახასიათებელი სიმკვრივით ძერწავს, ისე, რომ ყოველთვის მკაფიოდ ჩანს ერთი ფორმიდან, ერთი ნაკვთიდან მეორეზე გადასვლის ზღვარი.

ავთანდილ მჭედლიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამამულო ომის თემაზე შექმნილ მემორიალებს. ესაა უმეტესად მრავალფიგურიანი კომპოზიციები, მრგვალი ქანდაკებისა თუ ჰორელიეფების სახით. ერთ-ერთი მათგანი ჩიმკენტის ოლქშია დადგმული — გრანდიოზული კომპოზიცია ფრიზისებურადაა გაპიმული 140 მეტრის სიგრძეზე და სხვადასხვა სცენებს შეიცავს. გამოსახულია ბრძოლის დრამატული ეპიზოდები, რომლებიც მეომართა გმირობასა და თავდადებას ასახავენ.

მოქანდაკემ შექმნა მწერლების, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მხატვრული სახეები — სოლომონ დოდაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ ლერმონტოვი...

პიროვნების შინაგანი ძალისა და ინტელექტის გადმოცემას ისახავს მიზნად ავთანდილ მჭედლიშვილი თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა პორტრეტების შექმნისას. ასეთია მარშალ გელოვანის პორტრეტი. ნაკვთები მკაფიოდაა დამუშავებული, მკაცრი და მეტყველი სახე, კეხიანი ცხვირი, გამჭოლი მზერა, ოდნავ წინ გამოწეული ქვედა ტუჩი ნებისყოფას და ენერგიას გამოხატავს.

ავთანდილ მჭედლიშვილი ნიადაგ პლასტიკურ ძიებაშია. ამას მეტყველებს მოქანდაკის მიერ შექმნილი შიშველი ფიგურების კომპოზიციურ-პლასტიკური დაწყვეტა. იგი მიზნად ისახავს გადმოცეს სხეულის ფორმათა სიმკვრივე, მოძრაობის სიმდიდრე.

მოქანდაკე ქმნის ნამუშევრებს, რომლებიც განზოგადებულ, სიმბოლიკურ ფიგურებს წარმოადგენენ. გამარჯვებისაკენ სწრაფვას გადმოცემს ფიგურა „თავისუფლება". ფლეტური აგებულების, დაკუნთული ახალგაზრდა მამაკაცი ფიგურაზე აღმართული ხელებით, გაფრიალებული დროშით ხელში, ენერგიული ნაბიჯებით მიემართება წინ. მთელ ფიგურაში გამოხატულია ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა. ფიგურა შესრულებულია მოქანდაკისათვის ჩვეული მეტყველი პლასტიკური ფორმების ძერწვის მანერით. ცალკე ჯგუფს წარმოადგენს მრავალფიგურიანი კომპოზიციები. წყალტუბოში მან შესრულა ექვსი ქანდაკება, რომელიც ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის ერთიან გეგმას ეთანხმება. მისი მონუმენტები და შემორიალური ანსამბლები აღმართულია უზბეკეთში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. მოქანდაკე აღწევს იმ ხალხისათვის დამახასიათებელი თვისებებისა და ხასიათის გადმოცემას, ვის წიაღშიც იშვა ესა თუ ის პიროვნება; ამავე დროს ამ ნამუშევრებშიც ყოველთვის ჩანს ქართველი მხატვრის ხელწერა, მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა.

ავთანდილ მჭედლიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არქიტექტურული ინტერიერების თუ ქალაქების ცალკეულ შენობათა მხატვრულ გაფორმებას. აქ კარგად ჩანს დიზაინერის მახვილი თვალი და დახვეწილი გემოვნება. თავისთავად ეს კიდევ ერთი გამოხატვაა მოქანდაკის მრავალმხრივი ნიჭისა და შემოქმედებითი შესაძლებლობისა.

გიორგი მასხარაშვილი.

ქალთა საბჭოები მოქმედებს

დ ა მ ღ ლ ა

შორეულია ციხის მიღმა არსებული სამყარო, შორეული და უცხო, მავთულხლართებისა და პირქუში კედლების უკან ქალთა კოლონიაა...

კოლონია და ქალი ძნელი წარმოსადგენია, ქალი დამნაშავე. მსჯავრდებული, მრავალშვილიანი დედა და „ზონა".

ამ სურათს, ალბათ, ძნელად წარმოიდგენს ის, ვისაც არც ახლობელი ჰყოლია ციხეში, არც განუცდია იქაური ყოფა და სუსხი.

დღეს, როცა ასე უჭირს მამულს, ვფიქრობთ, ღირს პატიმარ ქალთა ბედზეც დფიქრება, ღირს თუნდაც იმიტომ, რომ ოჯახები შევინარჩუნოთ, ბავშვები სწორად აღვზარდოთ...

რამდენი კარგი ადამიანია იქ, ფეხის ერთი გადაბრუნებით პირქვედამხობილი...

აი, ამ ფიქრებით მივედით ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ქალბატონ **ზინაიდა კვაჭაძესთან.**

— ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში ხაკმაოდ გაიზარდა ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. თქვენთვის, ალბათ, ძნელია ხაუბარი დამნაშავე ქალებზე, მით უმეტეს, ქართველ ქალებზე, რომლებმაც უღალატეს თავიანთ მორალურ და ზნეობრივ პრინციპებს და დაადგნენ დანაშაულებრივ გზას. მაინც, რამ უბიძგა ქალს ეერჩია ეს გზა, რატომ მოსწყდა იგი ოჯახსა და შვილებს, რატომ უნდა გვიხდებოდეს ხაუბარი ქალთა დანაშაულობაზე და რატომ დამკვიდრდა ეს ტერმინი ასე მყარად ჩვენს ცხოვრებაში? როგორც ვიცით, აღებულია კურსი ხაზოგადოებისა და მთავრობის მიერ დამნაშავე ქალთა მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებაზე. როგორ გესახებათ თქვენ ეს პრობლემა, რა შეიძლება იღონონ ქალთა ხაბჭოებმა ამ მიმართებით?

— პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ სწორედ ჩვენმა მოუწყობელმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ განაპირობა დანაშაულის ზრდა, რა თქმა უნდა, იგი ეხება მამაკაცებსაც, მაგრამ რადგან კონკრეტულად ქალებზე გაინტერესებთ, ამჯერად მხოლოდ მათ შევეხები.

ეკონომიკური ცხოვრების მძიმე პირობები, ოჯახების ნგრევა, საზოგადოების უყურადღებობა და გულგრილობა, შრომითი კოლექტივის ჩაურევლობა, მეზობლისა თუ ნათესავის მხრივ არათანადგრომა, ადამიანთა სულიერი სიღატაკე, აი, რა უწყობს ხელს ხშირ შემთხვევაში ქალის დანაშაულის გზაზე დადგომას. ამით სულაც არ ვაპირებ ყველა დამნაშავისა თუ დანაშაულის გამართლებას, მაგრამ რეალობის უარყოფაც არ იქნებოდა სწორი.

თქვენი ყითხვის მეორე ნაწილზე, კანონის ჰუმანიზაციაზე, მოგახსენებთ ჩვენს მოსაზრებასაც.

გვაწუხებს დამნაშავე ქალებისა და მათი ოჯახების ბედი. ქალს, როგორც დამნაშავეს, უფრო მეტად ვხვდებით ისეთი დანაშაულის დროს, როგორიცაა სახელმწიფო ქონების მითვისება, ქურდობა, თაღლითობა, სპეკულაცია, მომმარებელთა მოტყუება, მეზობლური დავა, მექრთამეობა, შინნაადი სპრტიანი სასმელების დამზადება-გასაღება და სხვა.

როგორც ცნობილია, აღნიშნული დანაშაულისათვის, კანონი ითვალისწინებს საზოგადოებისაგან იზოლაციას, ასევე სასჯელს თავისუფლების აღუკვეთავად, იზოლაციის გარეშე — პირობით მსჯავრს. ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოებს, სასჯელის აღსრულებას, დამნაშავის თავდებით გადაცემას მისი გამოსწორებისა და აღზრდის მიზნით და ა. შ. სამწუხაროდ, არის ისეთი სახის დანაშაულიც, როდესაც კანონი ქალების მიმართაც თვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას — დაბვრეტას, თუმცა მისი გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება და მაინც კანონში მისი არსებობა ყოველად დაუშვებლად მიმაჩნია.

დღეს, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლის პირობებში, ჰუმანური პრინციპებიდან და ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეული წარსულიდან გამომდინარე, როდესაც განუკითხავი რეპრესიები მძვინვარებდა, ახლა მთელი საზოგადოება სასჯელის ერთგვარი შერბილების მოთხოვნას აყენებს. ამის შესახებ კარგად აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წევრმა მარიკა ლორთქიფანიძემ. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე უფრო შემზარავი, როდესაც არასრულწლოვანი შვილების დედები, ბებიები, წლობით კოლონიებში იმყოფებიან. ვფიქრობთ, დადგა დრო, შვილებიანი ქალების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით გამოიყენოთ ისეთი სასჯელი, რაც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთასთან.

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წარმომადგენლები პეროდულად ვხვდებიან კოლონიაში მყოფ ქალებს. ეს ფაქტი კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ საპატიმრო სულიერი ტრამვაა არა მარტო მსჯავრდადებულისათვის, არამედ სახლში მიტოვებული შვილებისათვისაც. სასჯელის მოხდის პერიოდში, ბუნებრივია, ხდება დედის გაუცხოება შვილებთან. მის სითბოს მოკლებული ბავშვები უმეთვალყურეოდ რჩებიან, რა დროსაც შესაძლებელია სხვა გარემოში, სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ და... საბედისწერო შეცდომაც ხდებიან... ამ მიზეზით არასრულწლოვანი ხშირად თვითონ ხდება ხოლმე დამნაშავე.

ქალის პატიმრობის მიზეზით არც თუ იშვიათად ოჯახიც ინგრევა. დედის მოლოდინში ბავშვი აარდისა და სულიერი ტკივილისაგან ნაადრევად კარგავს ბავშვობას, რაც უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქიკაზე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუ წინა წლებში ქალი თითქმის მამაკაცის თანაბრად ისჯებოდა, დღეს სასამართლო ორგანოები სასჯელის ზომის შეფარდებისას უფრო მეტად თვალისწინებენ შემამსუბუქებელ გარემოებას. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილებული სასამართლო პრაქტიკა, მათ მიერ 1989 წელს განხილულ სპეკულაციის საქმეებზე, სადაც 147 დამნაშავე პირიდან 87 ქალია, თითქმის არცერთი მსჯავრდადებული ქალის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა თავისუფლების აღკვეთა. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ქალი იზოლაციის გარეშე უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, ოჯახსა და შვილებს. ამ საკითხის გადაწყვეტისას მისი ბედი მარტო სასამართლოს შეხედულებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან როგორც წარსული გვიჩვენებს, ამ შემთხვევაში ყოველთვის როდი ვიქნებით დაზღვეული შეცდომებისაგან, ამიტომ მიგვაჩნია, რომ საკითხი საკანონმდებლო წესით უნდა გადაწყდეს, სასჯელდობრ, თვით კანონმა უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილების დედის იზოლაციის დაუშვებლობა. აგრეთვე სხვა შეღავათები ყველა ქალის მიმართ, განურჩევლად იმისა, ჰყავს თუ არა არასრულწლოვანი შვილები. რა თქმა უნდა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის ქმედების სიმძიმე და საზოგადოებრივი საშიშროება.

გადასინჯვას მოითხოვს სასჯელის მოხდის ადგილებიდან ქალის ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხიც. თუ ქალმა თავი გამოიჩინა კარგი ყოფაქცევით, მოინანია დანაშაული, მისი განთავისუფლების საკითხი ყოველთვის არ უნდა იყოს დაკავშირებული სასჯელის მოხდის ვადასთან. ამან, რა თქმა უნდა, გამოხატულება უნდა ეთქვა ეროვნ. ნორმებში.

— როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ქალთა საბჭომ ზემოთქმული საკითხების გადაწყვეტაში?

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად საქართველოს უზენაეს საბჭოში მუშავდება ეს საკითხები, რესპუბლიკის ქალთა საბჭომაც თავის მხრივ წინადადებით მიმართა უზენაეს საბჭოს, რომ ქალს, პირველ რიგში შვილებიანს, არ მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ზომა-წონაში მოტყუებისა და სპეკულაციისთვის, მეზობლური დავის, სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის, წვრილმან ქურდობაზე და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთი დანაშაული უნდა ითვალისწინებდეს ზარალის ანაზღაურებას. ასევე კატეგორიის საქმეების განხილვისას უნდა დაკანონდეს, რომ დამნაშავეს თავდებად დაუდგნენ ცნობილი პირები, საზოგადო მოღვაწეები, მეზობლები და შრომითი კოლექტივები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქმის გარჩევაში. იგი, როგორც თავდები და მეურვე, უნდა გამოვიდეს სასამართლოზე, ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე და თავის ვალდებულებას დამნაშავის მიმართ ადასტურებდეს წერილობით (და არა ისე ფორმალურად, როგორც ეს დღეს ხდება).

ასევე საჭიროა ქალსა და არასრულწლოვანის დანაშაულის საქმის გარჩევისას მონაწილეობდნენ რაიონის, ქალაქის ან რესპუბლიკის ქალთა საბჭოს წარმომადგენლები.

ჩვენც მივიღებთ ზომებს, რათა უზრუნველყოთ ქალთა საბჭოების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლოებში. სასჯელის მოხდის შემდეგ კი ყოველგვარ დავეხმარებით ქალებს არასრულწლოვანებს შრომით მოწყობაში, სწავლასა და საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში.

იზა ჯაფარიძე.

სპორტი

კეთილი ნების კონტრასტები

სიეტლში, ისევე როგორც ამერიკის სხვა ქალაქებში, ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზეთი გამოდის. მათ შორის ყველაზე პოპულარულმა „ტაიმსმა" ერთი ნომერი მთლიანად მიუძღვნა თავისი მოსახლეობის, მისი ჩვევების, სიხარულისა და პრობლემების აღწერას. ნომერი განკუთვნილი იყო ჩამოსული სტუმრებისათვის, რომლებსაც მიზეზთა და მიზეზთა გამო სიეტლის ღულმოდგინედ გაცნობის საშუალება, წესით, არ უნდა ჰქონოდათ.

ტელეკომენტატორის ბედს ჩუმ-ჩუმად ყველა შენატრის. გუშინ რომ იტალიიდან ფეზბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს გადმოსცემდა, დღეს იგი სიეტლშია და კეთილი ნების თამაშებზე გვესაუბრება. ტელეკომენტატორი მუდამ, როგორც წესი, მოვლენების ცენტრში ტრიალებს, საყოველთაო ყურადღებითაც სარგებლობს, მაგრამ მისი ბედნიერება ამის იქით აღარ მიდის. ორიოდე დღის წინ საკავშირო ტელევიზიის კომენტატორს ალექსანდრე კურაშოვს ერთი ნაღვლიანი ფრაზა წამოსცდა: მეოთხე დღეა სიეტლში ვცხოვრობთ, მაგრამ რას წარმოადგენს ეს ქალაქი, ხეირიანად არც კი ვცვიო. ყოველი დღე ჩვენთვის ერთ-ერთ რომელიმე სტუდიაში იწყება და მთავრდება მაშინ, როცა ქალაქს ღრმა ძილით სძინავსო. ალბათ ამ რანგის „ტურისტებისადმი" იყო მიძღვნილი „ტაიმსის" სპეციალური გამოშვება.

...სიეტლი ყველა მხრიდან წყლით ან მაღალი მთებით არის გარშემორტყმული. ჰაერი აქ გამჭვირვალეა და დაუჭერებლად სუფთა. ამერიკელები სიეტლს ეკოლოგიური სიწმინდის ეტალონად მიიჩნევენ და ამაყობენ კიდეც ამით.

სიგარეტის წევას ყველან ერთ დღეს დაანება თავი. ამის გამო ქალაქს უნიკოტინო ზონასაც ეწოდებენ. ამერიკელები გამორჩეულად სტუმართმოყვარ ე ნ ი არიან, მაგრამ მწეველ ცოტა ალმაცერად უყურებენ, რომელიც ან არ იცის აქაური წესები, ან კიდევ თავის მოკლა განუზრახავს. აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ფერად პლაკატს — ჩვენთან არ ეწევიან! ქალაქში კარგა ხანია სიგარეტს ბოიკოტი გამოუცხადეს. თამბაქოს ინდუსტრიამ მწარე მარცხი განიცადა.

სიეტლი არ ჰგავს მსოფლიოს არც ერთ დიდ ქალაქს. იღვიძებს გასაოცრად ადრე: 7-8 საათისთვის დაწესებულებებში მუშაობა დუღს და გადმოდუღს. სამაგიეროდ, სამუშაო დღე